



# ენერგოდაიჯესტი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ანალიტიკური დეპარტამენტი

27.10.2014

№ 41

# სარჩევი

საქართველო.....	3
გაზსადენის „ზესტაფონი-ქუთაისის“ მონაკვეთის მშენებლობა დასრულდა.....	3
ბუნებრივი გაზის ქსელზე მიერთების შემცირებული ტარიფი პირველი ნომბრიდან ძალაში შევა .....	4
რეგიონი .....	5
აზერბაიჯანი კომბინირებული ციკლის ელექტროსადგურზე მეორე ბლოკის მშენებლობას იწყებს .....	5
ირანი და სომხეთი ენერჯეტიკის სექტორში ურთიერთობებს აღრმავებენ .....	6
თურქეთის მიზანია ევროპისთვის გაზის საკვანძო წერტილი გახდეს .....	6
რუსეთის ფედერაცია და პოსტსაბჭოთა ქვეყნები .....	8
ქვანახშირის დეფიციტის გამო უკრაინას მკაცრი ზამთარი ელოდება .....	8
ყაზახის საბაღოს განახლებით ყაზახეთის ნავთობის წარმოება 2020 წლის შემდეგ გაიზრდება.....	9
ევროპა .....	11
ახალი ენერჯოკავშირის ასაშენებლად ევროპას სურვილი სჭირდება .....	11
ქვანახშირით მდიდარი პოლონეთი მზადაა, დაბლოკოს ევროკავშირის კლიმატის გარიგება .....	13
მსოფლიო.....	15
„ჯენერალ ელექტრიკი“ (GE) კენის ქარის ენერჯის ახალი პროექტისთვის 63 ქარის ტურბინას დაამონტაჟებს .....	15
კვლევამ ცხადყო, რომ ამ ათწლეულში გლობალური ჰიდროენერჯის მკვეთრი ზრდაა მოსალოდნელი .....	16
2050 წლისთვის ქარის ენერჯია 1000 პროცენტით გაიზრდება.....	18
ანალიტიკა .....	19
ბუნებრივი გაზი: ახალი ოქრო.....	19

## გაზსადენის „ზესტაფონი-ქუთაისის“ მონაკვეთის მშენებლობა დასრულდა

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ მაღალი წნევის მაგისტრალური გაზსადენის „ზესტაფონი-ქუთაისის“ 700მმ დიამეტრის 23კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობა დაასრულა.

ამ მონაკვეთზე გაზსადენის რეაბილიტაცია არსებული 500მმ დიამეტრის დაზიანებული მილების, ასევე მდინარეებისა და ხევების პრობლემური გადაკვეთების გამოცვლის აუცილებლობამ განაპირობა. აღნიშნული პროექტის განხორციელების შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც გაზსადენის გამტარუნარიანობა, ასევე



მთლიანად მაგისტრალური გაზსადენების სისტემის საიმედოობა.

მაღალი წნევის მაგისტრალური გაზსადენის „ზესტაფონი-ქუთაისის“ 23კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობა 2014 წლის გაზაფხულზე დაიწყო და იგი საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებულმა ქართულმა

კომპანია შპს „საქმილსადენმშენმა“ განახორციელა. „ზესტაფონი-ქუთაისის“ მონაკვეთის მშენებლობა აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაციის პროექტის IV ფაზის ფარგლებში განხორციელდა და ის აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID) დააფინანსა. „ზესტაფონი-ქუთაისის“ 23კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობის კონტრაქტის ღირებულება 4 496 765.47 აშშ დოლარი იყო.

USAID-მა „ენერგონფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში“ საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას გაზის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის 78 მლნ აშშ დოლარი გამოუყო. პროგრამის დასრულების შემდეგ გაიზარდება საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების სისტემის დასავლეთის მიმართულების გამტარუნარიანობა, რადგან 500მმ-იანი დიამეტრის მილსადენი 700მმ-იანით ჩანაცვლდება.

„ენერგონფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის“ პირველი სამი ფაზის ფარგლებში უკვე განხორციელდა „სენაკი-ფოთის“ 30 კმ-იანი, „აბაშა-სენაკის“ 29 კმ-იანი

და „კუთაისი-აბაშის“ 47 კმ-იანი სიგრძის მაღალი წნევის გაზსადენის მონაკვეთების მშენებლობა.<sup>1</sup>

## ბუნებრივი გაზის ქსელზე მიერთების შემცირებული ტარიფი პირველი ნოემბრიდან ძალაში შევა

24 ოქტომბრის საჯარო სხდომაზე „სემეკმა“ ბუნებრივი გაზის სექტორში ახალი მომხმარებლის ქსელზე მიერთების ტარიფის შემცირებაზე იმსჯელა. 600 ლარიდან 400 ლარამდე შემცირებული ტარიფი მიმდინარე წლის პირველი ნოემბრიდან შევა ძალაში. „საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ“ ცვლილებათა პაკეტი შეიმუშავა, რომლის მიხედვითაც საყოფაცხოვრებო მომხმარებლის ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების ტარიფი გავრცელდება გაზიფიცირებულ დასახლებათა ტერიტორიულ საზღვრებში, განაწილების ლიცენზიატის მფლობელობაში არსებული გამანაწილებელი ქსელიდან 300 მეტრის რადიუსში. მოქალაქეს შემცირებული ტარიფის გადახდა 25 ლარიანი პორციებით 16 თვის განმავლობაში შეეძლება. მომსახურების ღირებულებაში შედის ბუნებრივი გაზის ერთი წერტილის მოწყობა.



პირველი ნოემბრიდან გაზგამანაწილებელ კომპანიებს ახალი რეგულაციები დაუწესდებათ. კერძოდ, თუ კომპანია არ უზრუნველყოფს ახალი მომხმარებლის 30 დღიან ვადაში მიერთებას, ასეთ შემთხვევაში მიერთების საფასური 400 ლარიდან 200 ლარამდე შემცირდება. სემეკის 2009 წლის 9 ივლისის #12 დადგენილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესებში“ შესატანი ცვლილებათა პაკეტი ბუნებრივი გაზის სექტორში მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებასა და მომხმარებლის უფლებების განუხრელ დაცვას ისახავს მიზნად. ცვლილებების მიხედვით, გაუმჯობესდება გამანაწილებელ ქსელზე მიერთების ტექნიკური სამუშაოების ხარისხი და მის მოვლა-პატრონობაზე სრული პასუხისმგებლობა კომპანიას დაეკისრება.<sup>2</sup>

<sup>1</sup> <http://gogc.ge/ge/page/gazsadenis-zestafoni-qutaisis-monakvetis-mshenebloba-dasrulda>

<sup>2</sup> <http://www.gnerc.org/index.php?m=560&newsid=524>

## აზერბაიჯანი კომბინირებული ციკლის ელექტროსადგურზე მეორე ბლოკის მშენებლობას იწყებს

სს „აზერენერჯის“ მმართველმა ეტიბარ პირვერდიევმა 20 ოქტომბერს განაცხადა, რომ კომპანია 2015 წლის პირველ ნახევარში შიმალის სადგურზე ახალი კომბინირებული ციკლის ნაწილის ექსპლოატაციაში გაშვებას გეგმავს.

მან ასევე განაცხადა, რომ შიმალის სადგურს აზშერონის ნახევარკუნძულის ენერგომომარაგებაში დიდი როლი აქვს.

„ახალი ბლოკის მშენებლობა უკვე მიმდინარეობს და ის სავარაუდოდ 2015 წლის ივლისში გაეშვება,“ - დაამატა პირვერდიევმა.



ახალი ნაწილი იაპონურ Toyo Engineering Corporation-თან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შენდება და მისი ჯამური დადგმული სიმძლავრე 409 მგვტ იქნება.

„დაახლოებით 10 000 კმ.-ის სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზები, 1 500 ქვესადგური და 8 მცირე ჰიდროელექტროსადგური აშენდა და გარემონტდა უკანაკსკნელ წლებში. მცირე ჰესების მშენებლობა დღესაც მიმდინარეობს და რამდენიმე ობიექტი მალე შევა ექსპლუატაციაში,“ - აცხადებს პირვერდიევი.

დღესდღეობით შიმალის სადგური ბაქოსა და აზშერონის ნახევარკუნძულის ენერგეტიკული მოთხოვნის 25 %-ს აკმაყოფილებს. ახალი ნაწილის ექსპლუატაციაში შევსლის შემდეგ ის მოთხოვნის 35-40%-ის დაკმაყოფილებას შეძლებს.

დღესდღეობით არსებული სადგურის კომბინირებული ციკლის ნაწილის დადგმული სიმძლავრე 400 მგვტ.-ია.

ბოლო ათი წლის განმავლობაში „აზერენერჯის“ სადგურების ჯამური დადგმული სიმძლავრე 40%-ით გაიზარდა და 7 1000 მგვტ.ს მიაღწია, რაც აზერბაიჯანს საშუალებას აძლევს დიდი მოცულობით ელ.ენერჯის ექსპორტი განახორციელოს მეზობელ ქვეყნებში.

აზერბაიჯანის ჯამური დადგმული სიმძლავრე ემყარება 14 თბო და 10 ჰიდროელექტროსადგურს და ის ელ.ენერჯის გაცვლას შემდეგ მეზობელ ქვეყნებთან აწარმოებს: საქართველო, ირანი და რუსეთი.<sup>3</sup>

## ირანი და სომხეთი ენერგეტიკის სექტორში ურთიერთობებს აღრმავებენ

როგორც „კავკასიის ექო“ იუწყება, ირანი სომხეთთან ერთად მდინარე არაქსის გასწვრივ მესამე ელექტროგადამცემი ხაზის აშენებას გეგმავს.

ვებგვერდი ირანის ენერგეტიკის მინისტრს ჰამიდ ჩიჩიანის ციტირებს: „ორივე მხარეს გვსურს ელექტროენერჯის გადაცემის პოტენციალის გაზრდა.“

ჩიჩიანის ინფორმაციით, ირანმა და სომხეთმა მდინარე არაქსზე ორი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ირგვლივაც გაააქტიურეს თანამშრომლობა და ის პრობლემა, რომელიც საბანკო სექტორთან დაკავშირებით არსებობდა და ხელს უშლიდა პროექტის განხორციელებას, მოგვარდა.

მესამე ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილება ჩიჩიანისა და სომხეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის იერვანდ ზახარიანის შეხვედრის დროს მიიღეს.<sup>4</sup>

## თურქეთის მიზანია ევროპისთვის გაზის საკვანძო წერტილი გახდეს

თურქეთის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანია BOTAS-ის განცხადებით, ქვეყანას შესაძლებლობა აქვს თავისი - საბერძნეთისა და ბულგარეთის საზღვრებთან მდებარე თხევადი ბუნებრივი აირის (LNG) ტერმინალების მეშვეობით ევროპისთვის გაზის მიწოდების საკვანძო წერტილი გახდეს.

BOTAS-ის გაზის გადაცემის ექსპერტმა ჰიზირ ჰაკან უნალმა ახალ ანგარიშში - „მესამე მხარის დაშვება თურქეთის ბუნებრივი აირის გადაცემის სისტემისთვის 2007-

<sup>3</sup> <http://www.azernews.az/business/72163.html>

<sup>4</sup> <http://news.am/eng/news/235280.html>

2013“ განაცხადა, რომ თურქეთის ბუნებრივი აირის მილსადენები შეძლებენ ევროპის მილსადენებთან ინტეგრირებას, თუ საბერძნეთი არ ააშენებს თხევადი ბუნებრივი აირის ახალ ტერმინალს. „საბერძნეთისა და ბულგარეთის საკუთარ ტერმინალზე დაშვებით, თურქეთი ევროპის ენერგეტიკულ ბაზრებზე ოპერირების „ვიზას“ მიიღებს“ - დაამატა მან.



BOTAS-ი თურქეთის ჩრდილო-დასავლეთში, ჩორლუში ახალ ტერმინალს 2015 წლის აპრილისთვის ააშენებს. „ბუნებრივი აირის მილსადენის დასრულების შემდეგ, საბერძნეთსაც ავტომატურად გაეზრდება ბუნებრივი აირის მოცულობა“ - აცხადებს უნალი და ამატებს, რომ ბუნებრივ აირზე მიმდინარე შეთანხმებები და ტერმინალებზე მესამე მხარის დაშვება თურქეთს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ევროპას მიაწოდოს გაზი.

თურქეთს ამჟამად თხევადი ბუნებრივი აირის ორი ტერმინალი აქვს. პირველი ერეგლიში, მარმარას რაიონში ხოლო მეორე ალიაგაში, ეგეოსის რაიონში მდებარეობს.

ამჟამად თურქეთი თავის თხევადი ბუნებრივი აირის ტერმინალებში ალჟირიდან წელიწადში 4 მლრდ კუბ.მ ბუნებრივი აირის, ხოლო ნიგერიიდან 1.2 მლრდ კუბ.მ ბუნებრივი აირის იმპორტს ახორციელებს. თხევადი ბუნებრივი აირი, ტრანს-ანატოლიურ გაზსადენთან (TANAP) ერთად, თურქეთისთვის ახლო აღმოსავლეთსა და ევროპას შორის გაზის საკვანძო წერტილად ქცევის გასაღებია.<sup>5</sup>

---

<sup>5</sup><http://www.hurriyetdailynews.com/turkey-aims-to-become-a-gas-hub-for-europe.aspx?pageID=238&nID=73298&NewsCatID=348>

### ქვანახშირის დეფიციტის გამო უკრაინას მკაცრი ზამთარი ელოდება

22 ოქტომბერს უკრაინის პრემიერმა არსენი იაცენუკმა განაცხადა, რომ ქვეყანას წლის ბოლოსთვის 4 მლნ ტონა ქვანახშირის დეფიციტი წარმოექმნება. დეფიციტის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ ქვეყნის 93 შახტიდან 88, რაც ადგილობრივი მოპოვების 70%-ს შეადგენს, ლუგანსკისა და დონეცკის ოლქებში მდებარეობს, სადაც ამჟამად სიტუაციას სეპარატისტული საჯარისო შენაერთები აკონტროლებენ. ომის შედეგად დონბასში 69 შახტამ ოპერირება შეწყვიტა და რამდენიმე განადგურდა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგი შახტა მაინც მუშაობს, დიდი პრობლემებია ელექტროსადგურებამდე ტრანსპორტირების კუთხით, რადგან ქვეყნის სარკინიგზო გზები დაზიანებულია. სექტემბერში ქვანახშირის წარმოება გასული წლის ამავე თვესთან შედარებით 51%-ით შემცირდა და ქვეყნის ენერგოსადგურები კიდევ უფრო მეტად განიცდიან საწვავის ნაკლებობას. რაც შეეხება ელ.ენერგიის გამომუშავებას, იგი ანალოგიურ პერიოდში 13.7%-ით შემცირდა. წარმოების უფრო მეტად შემცირების პრევენცია ქვანახშირის მარაგების გამოყენებით მოხერხდა, თუმცა იგი სწრაფად მცირდება. ოქტომბრის დასაწყისში მარაგები 1.93 მლნ ტონას შეადგენს, მათ შორის 0.49 მლნ ტონა მაღალი ხარისხის ქვანახშირია. გასულ წელს კი ეს მაჩვენებელი 4.37 მლნ ტონა იყო.



გაზთან ერთად ქვანახშირი უკრაინის ენერგო ბალანსისა (35%) და ელ.ენერგიის გენერაციის მნიშვნელოვანი ელემენტია (45%). უკრაინა ევროპაში ქვანახშირის სიდიდით მეოთხე მწარმოებელი ქვეყანაა (რუსეთის, გერმანიისა და პოლონეთის შემდეგ), რომელზეც მსოფლიო წარმოების 4% მოდის. ამ დრომდე ქვეყნის მოხმარება მთლიანად ადგილობრივი წარმოებით კმაყოფილდებოდა, თუმცა დონბასის კონფლიქტის შემდეგ,



ქვეყანა იძულებული გახდა დიდი ოდენობით იმპორტი განეხორციელებინა, განსაკუთრებით კი, მაღალი ხარისხის ქვანახშირისა, რომელიც თბოსადგურებში საწვავად გამოიყენება. ენერგეტიკისა და ქვანახშირის ინდუსტრიის სამინისტროს განცხადებით, შემოდგომისა და ზამთრის პერიოდში ქვანახშირის დეფიციტის შედეგად ქვეყნის ელ.ენერჯის წარმოება სავარაუდოდ 30%-ით შემცირდება.

ქვანახშირის მზარდი დეფიციტის გამო, უკრაინამ ელ.ენერჯის წარმოება ბირთვულ ელექტროსადგურებში მათი გამომუშავების მაქსიმუმით გაზარდა, ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა ენერჯის ექსპორტი და ყირიმისთვის ელ.ენერჯის მიწოდება. თუმცა, ეს ღონისძიებები თბოსადგურებში ენერჯის წარმოების კომპენსაციას ვერ ახდენს. გამომდინარე იქიდან, რომ ამ ეტაპზე დონბასში არსებულ შახტებზე წარმოების განახლების არანაირი შანსი არ არსებობს, წლის ბოლომდე ქვეყნის ქვანახშირის დეფიციტი 4 მლნ ტონას, ხოლო 2015 წელს ყოველთვიურად 2.8 მლნ ტონას შეადგენს.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ უკრაინაში გათბობის სეზონი უკვე დაიწყო, უცხოეთიდან მაღალი ხარისხის ქვანახშირის იმპორტის განხორციელებისთვის ქვეყანას ძალიან ცოტა დრო რჩება. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ასეთი ტიპის ქვანახშირი ბაზარზე იოლად არ მოიპოვება (პოლონეთი მსგავსი ტიპის ქვანახშირის ექსპორტს საერთოდ არ ახორციელებს). შესაბამისად, დეფიციტის მოლოდინში, ზოგიერთი ელექტროსადგური მომდევნო თვეებში წარმოებას შეამცირებს. აგვისტოში უკრაინამ სამხრეთ აფრიკასთან 1 მლნ ტ. ქვანახშირის იმპორტის ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, თუმცა პირველი მოწოდება (80 000 ტ.) მხოლოდ ოქტომბრის ბოლოს დაიწყება. მეორე პრობლემაა ასევე იმპორტის ფასი, რაც ადგილობრივ წარმოებულ რესურსთან შედარებით მესამედით მეტია, რაც დაახლოებით ყოველთვიურად 200 მლნ აშშ დოლარის დანახარჯებს გულისხმობს. ასე რომ, ქვანახშირისა და გაზის საკითხი ერთობლივად უკრაინას დიდი ენერგეტიკული პრობლემის წინაშე აყენებს.<sup>6</sup>

## ყაშაღანის საბადოს განახლებით ყაზახეთის ნავთობის წარმოება 2020 წლის შემდეგ გაიზარდება

2020 წლის შემდეგ ყაზახეთი ნავთობის ყოველწლიური წარმოების ზრდას 100 მლნ ტონამდე მას შემდეგ ელოდება, რაც ყაშაღანის უდიდესი ნავთობსაბადო წარმოებას განაახლებს. შედარებისთვის, მიმდინარე წლის მოპოვება 82 მლნ ტონაზე ნაკლებია. ყაზახეთი, რომელიც რუსეთის შემდეგ ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის

<sup>6</sup> <http://oilprice.com/Energy/Coal/Ukraine-Facing-Harsh-Winter-Due-To-Coal-Shortages.html>

სიდიდით მეორე ნავთობმწარმოებელია, მიმდინარე საუკუნის მესამე ათწლეულში წარმოების 90-დან 100 მლნ ტონამდე ზრდას გეგმავს.

2013 წელს ქვეყნის ნავთობის წარმოებამ 81.7 მლნ ტონა შეადგინა. იანვარი-სექტემბრის პერიოდში გამოშვება 2013 წლის 60.5 მლნ ტონიდან, 2014 წელს 60 მლნ ტონამდე შემცირდა.

ყაშაღანის საბადოზე, რომელიც ბოლო წლებში აღმოჩენილი ყველაზე დიდი ნავთობსაბადოა, წარმოება გასული წლის სექტემბერში დაიწყო, თუმცა რამდენიმე კვირაში მილსადენში არსებული გაზის გამოჟონვის გამო 50 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების



პროექტი გაჩერდა. მილსადენის გამოცვლა, რომელიც კასპიის ზღვაშია ჩადებული, 1.6-3.6 მლრდ აშშ დოლარი დაჯდება. ქვეყნის ენერჯეტიკის სამინისტროს განცხადებით, ყაშაღანის ოპერირება შესაძლოა 2016 წლის მეორე ნახევრიდან განახლდეს. მინისტრის მოადგილის მირზაგალიევის ცნობით, წარმოება „ტენგიზის“ საბადოზეც 2019-2020 წლებში, შესაძლოა, 12 მლნ ტონიდან 38 მლნ ტონამდე გაიზარდოს. აღნიშნულ საბადოზე წარმოების გაფართოების ღირებულება თავდაპირველად 23 მლრდ აშშ დოლარად შეფასდა, თუმცა სხვადასხვა მომსახურებასა და ტექნოლოგიებზე ფასების ზრდის შედეგად, ამ რიცხვმა 40 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია.<sup>7</sup>

<sup>7</sup> <http://www.hellenicshippingnews.com/kazakh-oil-output-to-rise-with-kashagan-after-2020-official/>

## ახალი ენერგოკავშირის ასაშენებლად ევროპას სურვილი სჭირდება

საფრანგეთსა და ესპანეთს შორის გამწვავებულმა სკანდალმა ბლოკის არაეფექტურობა გამოამჟღავნა

ევროკავშირის 28 წევრი ქვეყანა მრავალი გამოწვევის წინაშე დადგება, თუ მათ ევროპის შენელებული ეკონომიკის გამოცოცხლება სურთ. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც ყველაზე ნაკლები ყურადღება ეთმობა, არის ენერგოპოლიტიკის კოორდინაციის საჭიროება. ევროპის ენერგობაზრის ფრაგმენტაცია არის სტრატეგიული სისუსტის ნათელი მაგალითი, რაც ვლინდება იმ ფაქტით, რომ გაერთიანება მთლიანობაში თავისი გაზისა და ელექტროენერჯის ნახევრაზე მეტის იმპორტირებას ახდენს. ევროკავშირის ქვეყნების ლიდერებმა ეს საკითხი ხუთშაბათს ბრუსელის სამიტზე განიხილეს, თუმცა პროგრესი მაინც ნელა მიმდინარეობს.



ევროკავშირის ამოცანაა, შექმნას უფრო თანმიმდევრული და ეფექტური ენერგოპოლიტიკა ორი მიზეზის გამო. უკრაინის კრიზისი იმის მანიშნებელია, რომ წევრმა ქვეყნებმა უნდა შეამცირონ თავიანთი დამოკიდებულება რუსული ენერჯის მიწოდებაზე, განსაკუთრებით კი - გაზზე. ევროკავშირის გაზის 30% სწორედ ამ წყაროდან მოდის, რაც იმას ნიშნავს, რომ გაერთიანება შორს იმყოფება ენერგოუსაფრთხოებისგან მოსკოვთან მიმართებაში. აშშ-ის ფიქალის გაზის რეგულაციაზე ევროპაშიც უნდა კონცენტრირდნენ. ფიქალი ამერიკულ კომპანიებს დიდ კონკურენტულ უპირატესობას ანიჭებს ევროპელებთან შედარებით, რომლებიც ელექტროენერჯიაში ბევრად მეტ ფასს იხდიან.

დონალდ ტუსკმა, ევროკავშირის საბჭოს მომავალმა პრეზიდენტმა, ევროკავშირის ენერგოკავშირის შექმნა ერთ-ერთ მთავარ მისიად დაისახა. მისი აზრით, ევროკავშირის ქვეყნების სივრცე მოიცავს არაეფექტურ „ენერგოკუნძულებს“, ხოლო სწორად ფუნქციონირებადი გაზისა და ელექტროენერჯის ბაზარი შეამცირებს დანაკრავის ნორმას და დაწევს ფასებს. საკონსულტაციო ფირმა Strategy& (ყოფილი Booz & Co) დარწმუნებულია, რომ ევროკავშირის შეუძლია 2030 წლისთვის 40 მლრდ ევროს დაზოგვა, თუკი მოხდება ენერგოქსელების ინტეგრირება.

თუმცა, ჰარმონიზაცია ძნელად მისაღწევი აღმოჩნდა. ზოგიერთი წევრი ქვეყნისთვის, მაგალითად, უნგრეთისა და ბულგარეთისთვის რუსულ იაფ გაზზე გადაჩვევა ძნელია. სხვა ქვეყნებს ადარდებთ ის ფაქტი, რომ ერთიანმა სისტემამ, შესაძლოა, ნაციონალური ენერგოჩემპიონები ნაკლებად კონკურენტუნარიანი გახადოს. აღსანიშნავია, რომ დამაკავშირებელი წევრი-ქვეყნები უმოქმედობის ეტაპზე გადავიდნენ. ევროკავშირის ინვესტიციები გადამცემ ხაზებსა და ინტერკონექტორებში მომავალი 6 წლის განმავლობაში 6 მლრდ ევრო იქნება, რაც ევროკომისიის მოთხოვნილ თანხასთან - 200 მლრდ ევროსთან შედარებით უმნიშვნელოა.

ესპანეთისა და საფრანგეთის უთანხმოება განახლებადი ენერჯის საკითხზე ახდენს იმის დემონსტრირებას, თუ რამდენად პროტექციონისტულიები გახდნენ წევრი ქვეყნები. ესპანეთის ქარის ტურბინები გამოიმუშავებს იმაზე მეტ ენერჯიას, ვიდრე ესაჭიროება ადგილობრივ ბაზარს, თუმცა ყველაზე დიდ მეზობელ ქვეყანაში ექსპორტი ვერ ხერხდება, ვინაიდან ძალიან მცირე რაოდენობის გადამცემი ხაზია იმისთვის, რომ მოხდეს ამ ენერჯის პირინეის მთების გავლით გატარება. მარიანო რახოს მთავრობის განცხადებით, საფრანგეთს არ სურს იაფი ენერჯისთვის საზღვრების გახსნა და საფრანგეთის მთავრობას ატომური ინდუსტრიის ხელშეწყობაში ადანაშაულებს.

საფრანგეთის მტკიცებით, ესპანური განახლებადი ელექტროენერჯის წყვეტილი ნაკადები მათ ატომურ ელექტროსადგურებს ტექნოლოგიური გამოწვევების წინაშე აყენებს, რომლის გამომუშავების დარეგულირება ადვილად არ მოხდება, თუმცა ესპანეთის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ გაერთიანებას ურთიერთკავშირი ესაჭიროება, ყურადსაღებია.

2008 წლიდან ევროპის დღის წესრიგში დომინირებს ევროზონის კრიზისისა და ნაციონალური ლიდერების მხრიდან პოტენციურ ეკონომიკურ კრიზისზე პრობლემის მოსაგვარებლად სწრაფი რეაგირების საკითხები. უკრაინის კონფლიქტის მიუხედავად, ენერგოკავშირის შექმნის დაჩქარებას არ ცდილობს ევროპა. ამ საკითხში წარმატება მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ევროპის ეკონომიკურ მომავალში. ევროპელმა

ლიდერებმა უნდა მოახდინონ ამ პროექტზე ფოკუსირება უფრო ფართოდ და დინამიურად, ვიდრე ამას ახლა აკეთებენ.<sup>8</sup>

## ქვანახშირით მდიდარი პოლონეთი მზადაა, დაბლოკოს ევროკავშირის კლიმატის გარიგება

ვარშავა, პოლონეთი - ევროკავშირის ლიდერები ბრიუსელში სათბურის გაზის ემისიის ახალ გემგასთან დაკავშირებით შეხვედრაზე ნახშირზე დამოკიდებული პოლონეთისა და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებისაგან მედგარ წინააღმდეგობას შეხვდნენ. ამ ქვეყნების მტკიცებით, ახალი მიზანი მათ ეკონომიკას დააზიანებს.

პოლონეთი მზადაა, ვეტო დაადოს გემგას, რომელიც გაერთიანების 28 ქვეყანას დაავალდებულებს, 2030 წლისთვის ერთობლივად 1990 წლის მაჩვენებელთან შედარებით 40%-ით შეამცირონ სათბურის გაზის ემისია. ევროკავშირის გემგაში ასევე შედის კლიმატისთვის სასარგებლო, განახლებადი ენერჯის წილის ზრდა, რომლითაც



გაერთიანების მოთხოვნის 27% დაკმაყოფილდება. კავშირის მიზანს ასევე მომავალი 16 წლის განმავლობაში ენერგოეფექტურობის მესამედით გაზრდა წარმოადგენს.

პოლონეთის განცხადებით, ეს ტემპი ძალიან სწრაფია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის, რომლებიც ცდილობენ, ძველი, ენერგოდამოკიდებული ინდუსტრიების რეკონსტრუქციის გზით, გაზარდონ თავიანთი ეკონომიკა.

პოლონეთის ელექტროენერჯის თითქმის 90% მოდის ქვანახშირიდან. ქვეყანა მოწოდებულია, განაგრძოს ამავე კურსით სვლა ათწლეულების მანძილზე, ვინაიდან მოპოვება ქმნის 100 000 პირდაპირ სამუშაო ადგილსა და მრავალ ათასეულ დასაქმების პერსპექტივას მასთან დაკავშირებულ სექტორში. ვარშავა ამტკიცებს, რომ მწვანე ენერჯია, დიდი ქარის სადგურები და მზის პანელები მაინც ძვირ ენერჯიას ქმნის.

მაგრამ, ხუთშაბათს დაწყებულ, ორდღიან ევროსამიტზე ახალი ემისიის გემგის დასახვის წარუმატებლობა ხელს უშლის კლიმატის თაობაზე გლობალურ შეთანხმებას, რომელზეც ხელის მოწერაც მომავალი წლისთვის, პარიზში იგეგმებოდა. ეს ფაქტი ასევე საფრთხის წინაშე დააყენებს ევროკავშირის, როგორც ლიდერის პოზიციას ნახშირბადის ემისიის შემცირების საკითხში, რომელიც მეცნიერების თქმით, კლიმატის ცვლილების გამომწვევი მიზეზია.

<sup>8</sup> <http://www.ft.com/intl/cms/s/0/b8727392-592b-11e4-a722-00144feab7de.html#axzz3H2RjXHWp>

„მიზანს წარმოადგენს შეთანხმების მიღწევა ... მსოფლიოს ყველაზე ამბიციურ, თუმცა ეკონომიურად ეფექტურ და კლიმატისთვის სასარგებლო ენერგოპოლიტიკაზე მომავალი ათწლეულისთვის“ - განაცხადა ევროსაბჭოს პრეზიდენტმა ჰერმან ვან რომპიმ.

გასულ წელს პოლონეთმა და სხვა ხუთმა ქვეყანამ, რომლებიც დამოკიდებულნი არიან წიაღისეულ საწვავზე, განაცხადეს, რომ მანამ, სანამ ისინი არ დაეთანხმებიან ემისიის შემცირების საჭიროებას, იძულებულნი არ იქნებიან ისეთი სახის იურიდიულ გარიგებაში მიიღონ მონაწილეობა, რომელიც მათი ეკონომიკის რეალობას სცდება.

ემისიის შემცირების მიზნები „რეალისტურად უნდა დაიგეგმოს“ - ნათქვამია პოლონეთის, ჩეხეთის რესპუბლიკის, ბულგარეთის, რუმინეთის, სლოვაკიისა და უნგრეთის მიერ ხელმოწერილ განცხადებაში. ამ ქვეყნების თქმით, ევროკავშირის მიერ შემოთავაზებული მიზნები გაზრდის მათი ენერჯის ფასებს და შეაფერხებს ინდუსტრიის განვითარებას, მაშინ, როდესაც ისინი ჯერ კიდევ გლობალური ეკონომიკური კრიზისის შემდეგ ძალების აღდგენას ცდილობენ.

„ჩემი მთავრობა არ დაეთანხმება იმ დოკუმენტებს, რომლებიც ჩვენს ეკონომიკას დამატებით ხარჯებს, ხოლო მომხმარებლებს ენერჯიაზე მაღალ ფასს მოუტანს“ - განაცხადა პოლონეთის ახალმა პრემიერ-მინისტრმა ევა კოპაჩმა.

პოლონეთი ევროკავშირის მდიდარ ქვეყნებს მოუწოდებს გარკვეული კომპენსაციის გაღებისკენ, იმ მიმე ტვირთვის სანაცვლოდ, რომელიც მათ ეკონომიკას ემისიის შემცირების შემთხვევაში დააწვება. თუმცა, ეკოლოგები შიშობენ, რომ პოლონელები გამოიყენებენ მეტ თანხას ქვანახშირის ინდუსტრიის მოდერნიზაციისთვის, რომელიც კლიმატის პრობლემის გადასაწყვეტად, აუცილებლად უნდა გაჩერდეს.

„ქვანახშირის ელექტროსადგურის ეფექტურობის გაზრდა გრძელვადიან პერიოდში ფულის ტყუილი ხარჯვა იქნება, ვინაიდან გრძელვადიან პერსპექტივაში, ჩვენ ქვანახშირისგან უნდა გავთავისუფლდეთ“ - განაცხადა ევროპის კლიმატის სამოქმედო ქსელის დირექტორმა ვენდელ ტრიომ.

ქვანახშირზე დამოკიდებულების მიუხედავად, პოლონეთის ენერჯის 10% ისეთი განახლებადი წყაროებიდან მოდის, როგორცაა ბიოსაწვავი და ქარის პატარა სადგურები, ძირითადად ბალტიის ზღვის სანაპიროდან.

პოლონეთის მიზანს 2020 წლისთვის განახლებადი ენერჯის წილის 15%-მდე გაზრდა წარმოადგენს.<sup>9</sup>

---

<sup>9</sup> [http://www.tulsaworld.com/business/energy/coal-rich-poland-ready-to-block-eu-climate-deal/article\\_0adb5a51-234c-5adc-8b4b-3b8125e0b07a.html](http://www.tulsaworld.com/business/energy/coal-rich-poland-ready-to-block-eu-climate-deal/article_0adb5a51-234c-5adc-8b4b-3b8125e0b07a.html)

## „ჯენერალ ელექტრიკი“ (GE) კენიის ქარის ენერჯის ახალი პროექტისთვის 63 ქარის ტურბინას დაამონტაჟებს

მსოფლიო ბანკი კენიაში ეროვნული განვითარების პროგრამების მხარდაჭერას განაგრძობს.

ბანკის განცხადებით, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) 100 მგვტ სიმძლავრის „კიპეტოს“ ქარის პროექტიდან კაჯიადოს უბანში 20 მლნ აშშ დოლარის აქციას მიიღებს.

„კიპეტო“ კენიაში სიდიდით მეორე ქარის პროექტი იქნება. მსოფლიო ბანკი 1.6 მლრდ კენიური შილინგის ინვესტირებას გეგმავს 100 მგვტ სიმძლავრის ქარის ელექტრო სადგურში კაჯიადოს უბანში.



IFC-მა ამის თაობაზე განაცხადი ვებ-საიტზე გააკეთა.

„IFC-ი, რომელიც ფლობს ამ პროექტის 20%-იან აქციას, საკუთარი სახსრებიდან განახორციელებს ინვესტირებას. იგი KEL-ში (Kipeto Energy Limited) დაახლოებით 20.5 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციას და ასევე საკუთარი სახსრებით “Kipeto Trust“-ის უფასო გადაადგილებას განახორციელებს,“ - ნათქვამია განცხადებაში.

ქარის სადგური აშენდება კაჯიადოში ადგილობრივი მოსახლეობისაგან არენდით აღებულ 70 კვ.კმ მიწის ნაკვეთზე, ნაირობის სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 70 კმ-ში. პროექტს ტურბინებით ამერიკული კომპანია „ჯენერალ ელექტრიკი“ უზრუნველყოფს.

IFC-ის თანახმად, კომპანია “Kebya Power“-თან გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ენერჯიას ეროვნულ ენერგოსისტემაში გაანაწილებს.

მისივე თქმით, “Power Kipeto” საკუთარ ენერჯის მიჰყიდის სადისტრიბუციო კომპანია KPLC-ს (Kenya Power and Lightning Company).

პროექტი განხორციელდება KEL-ის მიერ, რომელიც ჩამოაყალიბა Craftskills Wind Energy International Limited-მა.

KEL-ის მთავარ აქციონერს 55%-იანი წილით წარმოადგენს „აფრიკის ინფრასტრუქტურის ინვესტირების მენეჯერები“ (African Infrastructure Investment Managers).

კენიის ენერჯის მაღალი ფასები ხშირად სახელდება იმის მთავარ მიზეზად, თუ რატომაა ადგილობრივი საქონელი არაკონკურირებადი გლობალურ ბაზარზე, რაც ინვესტორებს ხელს უშლის, დაინახონ ქვეყნის შესაძლებლობები.

მთლიანი პროექტი შეფასებულია 316 მლნ აშშ დოლარად. „ჯენერალ ელექტრიკი“ ააშენებს ახალ ქვესადგურსა და 66 კვ-იან გადამცემ ხაზს წარმოებული ელექტროენერჯის ეროვნულ ენერჯოსისტემაში გადასაცემად.<sup>10</sup>

## კვლევამ ცხადყო, რომ ამ ათწლეულში გლობალური ჰიდროენერჯის მკვეთრი ზრდაა მოსალოდნელი

24 ოქტომბერი, 2014 წ. - ახალ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, გლობალური ელექტროსადგურების კაშხლების მშენებლობის უპრეცედენტო ბუმი ფიქსირდება. ეს განსაკუთრებით ეხება განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს. მოსალოდნელია, რომ ეს პროცესი გააორმაგებს ჰიდროელექტროსადგურების ენერჯის მოპოვებას და შესაძლოა, თავისუფალი მდინარეების რაოდენობა შეამციროს 20%-ით, რაც მტკნარი წყლის ბიომრავალფეროვნებას საფრთხეს შეუქმნის. აქედან გამომდინარე, შემუშავადა ახალი ბაზა, რომელიც დაეხმარება ელექტროენერჯის წარმოების მდგრადი რეჟიმის შემოღების შესაღებ გადაწყვეტილების მიღებას.

განახლებადი რესურსების ელექტროენერჯიაზე ინტენსიურმა მოთხოვნამ ჰიდროენერჯის განვითარება ახალ ეტაპზე გადაიყვანა: უცვლელი ტენდენციის შემდეგ, ელექტროენერჯის წარმოებისთვის უპრეცედენტო რაოდენობის კაშხლის მშენებლობა მიმდინარეობს, ან იგეგმება მსოფლიოს მასშტაბით. თუმცა, ბუმი ძირითადად ფიქსირდება სამხრეთ ამერიკაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და აფრიკაში, სადაც მსოფლიოს მტკნარი წყლის ბიომრავალფეროვნების უმნიშვნელოვანესი ადგილები მდებარეობს.

<sup>10</sup> <http://www.evwind.es/2014/10/23/ge-to-install-63-wind-turbines-for-new-kenyan-wind-energy-project/48284>



„ჰიდროენერჯია განახლებად ენერჯიაზე გადასვლის პროცესის ინტეგრირებული ნაწილია და ამჟამად, განახლებადი ენერჯიის უდიდესი მწარმოებელიც“ - განაცხადა პროფ. ქრისტიანა ზარფლმა (Universität Tübingen), რომელმაც ბერლინში ლაიბნიცის მტკნარი წყლის ეკოლოგიისა და შიდა წყლების მეთევზეობის ინსტიტუტში (IBG) კოლეგებთან ერთად განახორციელა კვლევები.

„თუმცა, უმნიშვნელოვანესია, რომ ჰიდროენერჯიის კაშხლები არ ქმნის ბიომრავალფეროვნებისთვის

ახალ პრობლემებს მსოფლიოს მტკნარი წყლის სისტემაში, რაც ფრაგმენტაციის და ნაკადებისა და ნალექების მოსალოდნელი ცვლილებების შედეგია“ - განაგრძო მან - „სწორედ ამიტომ, ჩვენ მოვაგროვეთ ყველა



ხელმისაწვდომი მონაცემი მომავალი ჰიდროელექტროსადგურების შესახებ, ძირითადი ასპექტების ფორმულირებისთვის, თუ სად და როგორ უნდა მოხდეს კაშხლების მშენებლობა და როგორ უნდა უზრუნველვყოთ მათი გამართულად ფუნქციონირება.“

დღესდღეობით, გლობალური ელექტროენერჯიის წარმოებაში განახლებად რესურსებს 20% უჭირავს, რომლის 80%-საც ჰიდროენერჯია შეადგენს. მომდევნო ორი ათწლეულის განმავლობაში აშენებული 3 700 დიდი კაშხალი ორჯერ მეტად გაზრდის ელექტროენერჯიის მთლიან მოცულობას და 1 700 გვტ-ს მიაღწევს. იმის გათვალისწინებით, რომ მოხდება ყველა დაგეგმილი კაშხლის რეალიზება, მოსალოდნელია, ჩინეთი გახდეს მსოფლიო ლიდერი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაში, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს სხვა ქვეყნების წილების გაზრდის პარალელურად, მისი წილი ჰიდროენერჯიის ჯამურ წარმოებაში 31%-დან 25%-მდე დაიწევს.

შესაბამისად, ამაზონისა და ლა პლატას აუზებს ყველაზე დიდი რაოდენობის კაშხალი ექნება სამხრეთ ამერიკის მასშტაბით, ხოლო განგ-ბრაჰმაპუტრას აუზსა (ძირითადად ინდოეთსა და ნეპალში) და იანძის აუზს ჩინეთში - აზიის მასშტაბით.

„ახალი კაშხლების მშენებლობისას, მნიშვნელოვანია, დაცული იყოს სისტემური მართვის მიდგომა, რომელიც მდინარის აუზის შემთხვევაში კაშხლების ეკოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიკურ შედეგებს ითვალისწინებს“ - განაცხადა IBG-ის ხელმძღვანელმა პროფ. კლემენტ ტოკნერმა, რომელიც ინსტიტუტის გამოკვლევებს უძღვება. „ჩვენ ველით მონაცემების BioFresh-ში ჩაშვებას, რომელც გლობალური მტკნარი

წყლების ბიომრავალფეროვნების პლატფორმას წარმოადგენს, და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი შედეგები მეცნიერებისა და გადაწყვეტილების მიმღებ პირთათვის მდგრადი ჰიდროენერჯის განვითარების მხარდაჭერის პროცესში, ღირებული წყარო იქნება“.<sup>11</sup>

## 2050 წლისთვის ქარის ენერჯია 1000 პროცენტით გაიზრდება

Global Wind Report 2014-ის თანახმად, 2050 წლისთვის ქარის ელექტროსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერჯია ამჟამინდელი 318 გიგავატიდან 4 042 გიგავატამდე გაიზრდება. ამ ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ 2050 წლისთვის ქარის ენერჯია ელექტროენერჯიაზე გლობალური მოთხოვნის 30%-ს დააკმაყოფილებს.



2050 წლისთვის მსოფლიოში ქარის სადგურების ჯამური დადგმული სიმძლავრის 1000%-ით გაზრდაა მოსალოდნელი. სიმძლავრის ზრდის ხარჯზე ქარის ელექტროსადგური, 10 624 ტერავატ/საათი ელექტროენერჯის წარმოებით, გლობალური მოთხოვნის

30%-ს დააკმაყოფილებს. 2013 წელს ელექტროენერჯის გლობალურმა წარმოებამ 620 ტერავატ/საათი შეადგინა.

ანგარიშში, სახელად „გაფართოებული სცენარი“, პროგნოზები გაკეთებულია 2020-2050 წლების პერიოდზე. ანგარიში მომზადებულია იმის გათვალისწინებით, რომ განახლებადი ენერჯია უფრო მეტ მნიშვნელობას შეიძენს და ნახშირბადის გამოყოფის რეგულაცია საერთაშორისო ვალდებულება გახდება. ანგარიშის მიხედვით, ენერგომიწოდების უსაფრთხოება თანხვედრაში მოვა ფასების სტაბილურობასთან, ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და მსოფლიოში ძვირფასი წყლის რესურსების დაცვასთან.

ქარის ენერჯის სიმძლავრის გაზრდა ინვესტიციების ზრდას მოითხოვს. წლიური ინვესტიცია, რომელიც 2013 წელს 44 მლრდ ევროს შეადგენდა, 2050 წლისთვის 249 მლრდ ევრომდე უნდა გაიზარდოს. ანგარიშში, რომლის მიხედვითაც, ნახშირბადის ემისიის შემცირებაში ყველაზე დიდი წვლილი ქარის ენერჯიას მიუძღვის, დადგენილია, რომ ნახშირბადის ემისია 2013 წლის 372 ტონასთან შედარებით 2050 წლისთვის 6.3 მლრდ ტონამდე გაიზრდება. თურქეთში ქარის ელექტროსადგურების ჯამური დადგმული სიმძლავრე მიმდინარე წელს 35%-ით გაიზარდა და 3 581 მგვტ-ს შეადგენს. ადგილობრივი და განახლებადი რესურსების გამოყენების მცდელობის ფონზე უცხოურ

<sup>11</sup> <http://www.waterworld.com/articles/2014/10/global-boom-in-hydropower-expected-this-decade.html>

ენერგორესურსებზე დამოკიდებულების შესამცირებლად, თურქეთი ქარის ენერჯის წარმოებას აჩქარებს. ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მონაცემების თანახმად, თურქეთის ქარის ელექტროსადგურების დადგმული სიმძლავრე 2014 წლის პირველ რვა თვეში 3 581 მეგავატამდე გაიზარდა, რაც 2013 წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელს 926 მეგავატით აღემატება. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში კერძო სექტორმა 47 ქარის ელექტროსადგური ააშენა ქვეყანაში. სწორედ ამიტომ, 68 000 მეგავატისანი მოთხოვნის 5% ქარის ენერჯიამ დააკმაყოფილა. 2013 წლის აგვისტოში თურქეთში ქარის ელექტროსადგურების ჯამური დადგმული სიმძლავრე 27 მეგავატით გაიზარდა, 2014 წელს იმავე პერიოდში ამ მაჩვენებელმა 170 მეგავატს გადააჭარბა.<sup>12</sup>

## ანალიტიკა

### ბუნებრივი გაზი: ახალი ოქრო

ბუნებრივი გაზი მსოფლიო ეკონომიკაში ახალ რეალობას აყალიბებს. გასული წლების განმავლობაში მომხდარმა სამმა უმთავრესმა მოვლენამ, როგორცაა, აშშ-ში ფიქალის გაზის რევილუცია; ფუკუშიმას კატასტროფის შემდეგ, ბირთვული ენერჯის მიწოდების შემცირება და უკრაინა-რუსეთის დაძაბული გეოპოლიტიკური მდგომარეობა, აღნიშნული რესურსის მნიშვნელობა წინა პლანზე წამოწია.


ბოლო ათწლეულის განმავლობაში მსოფლიო მასშტაბით აღმოჩენილმა არატრადიციულმა გაზის რესურსებმა გლობალური ენერგეტიკული ბაზარი სრულიად შეცვალა და ამასთანავე მსოფლიო ენერგოვაჭრობის გეოგრაფიამაც ფორმა იცვალა. ბუნებრივი გაზის მოხმარება დღეს-დღეობით მსოფლიოს პირველადი ენერგომომხმარების 25%-ს შეადგენს, მაშინ როცა ნავთობის წილი 1970 წლის 50%-დან მიმდინარე პერიოდში 30%-მდე შემცირდა. თუმცა, ბუნებრივი გაზი სრულიად განსხვავებულია სხვა ენერგეტიკული რესურსებისგან. იგი ჰაერზე უფრო მსუბუქია და მისი გადატანა არც თუ ისე იოლი საქმეა. შესაბამისად მისი ტრანსპორტირებაც შედარებით ძვირია. ამიტომ, ბუნებრივი გაზის ბაზარს უფრო რეგიონალური სახე აქვს და ნაკლებად ინტეგრირებულია, ვიდრე ნავთობის ბაზარი. ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება მოითხოვს საკმაოდ ძვირადღირებული მილსადენების ქსელებს, გამათხევადებელ ქარხნებსა, თუ სხვადასხვა აღჭურვილობებს, როგორცაა” ხომალდები და გაზგარდამქმნელი სადგურები. შეზღუდული გლობალური ინტეგრირებული ბაზრის შედეგად, რეგიონებს შორის არსებული ფასები აშშ-ს ფიქალის გაზის ბუმისა და

<sup>12</sup> <http://www.dailysabah.com/energy/2014/10/26/wind-power-to-rise-by-1000-pct-by-2050>

ფუკუშიმას კატასტროფის გამო, ბოლო წლებში ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება.

### აშშ-ს ფიქალის გაზის რევოლუცია

ფიქალის ქანების ბურღვის უპირატესობის გამოყენებით, შეერთებული შტატების გაზის წარმოებამ ქვეყანა მსოფლიოში აღნიშნული რესურსის პირველ მწარმოებლად აქცია და მალე მოსალოდნელია, რომ ქვეყანა წმინდა ექსპორტიორიც გახდება. ფიქალის გაზის რევოლუციამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა გლობალურ ენერგეტიკულ ვაჭრობაზეც: აშშ-ს წიაღისეული საწვავის იმპორტი 2008 წლის 412 მლრდ აშშ დოლართან შედარებით, 2013 წელს 225 მლრდ აშშ დოლარამდე შემცირდა.



ბოლო წლების განმავლობაში მზარდმა მოპოვებამ ქვეყანაში გაზის ფასები, სხვა რეგიონებთან შედარებით, 70%-მდე შეამცირა. მაგალითად: აშშ-ში ბუნებრივი გაზის ფასი ყოველ მილიონ ბრიტანულ თერმულ ერთეულზე (1 კუბ.მ. გაზი = 35 000 ბთე) 4 აშშ დოლარს შეადგენს, მაშინ, როცა ევროპასა და აზიაში ეს მაჩვენებელი, შესაბამისად 10 და 17 აშშ დოლარია.

აშშ-ს უპირატესობამ ბუნებრივი გაზის რესურსის კუთხით, განაპირობა მისი კონკურენტუნარიანობა არაენერგეტიკული პროდუქციის გამოშვებაში. ენერგონტენსიური წარმოების ექსპორტის წილი ქვეყნის მთლიანი წარმოების ექსპორტში სტაბილურად მზარდია, მაშინ როცა არაენერგონტენსიური წარმოების ექსპორტი მცირდება. ფიქალის გაზის ბუმის შემდეგ გაიაფებულმა რესურსმა აშშ-ს მიერ წარმოებული პროდუქციის ექსპორტის 6%-ით ზრდა განაპირობა. რესურსის გაიაფება ასევე ხელს უწყობს ქვეყანაში არსებული კომპანიების გაფართოებასა და ბაზარზე ახალი მოთამაშეების შემოსვლას. მაშინ, როცა აშშ-ში ფასების შემცირების სარგებელს ადგილობრივი მოსახლეობა განიცდის, ამ მოვლენას თავისი გავლენა აქვს ასევე გლობალურ ბაზარზე, კერძოდ ევროპასა და აზიაში. გეოპოლიტიკური სიტუაციის გამო წარმოქმნილი გაზის დეფიციტის კომპენსირება ამ რეგიონებში სწორედ აშშ-ს გათხევადებული ბუნებრივი აირის იმპორტით მოხდა.

### ფუკუშიმას კატასტროფა და შემდეგი მოვლენები

2011 წლის მარტში მომხდარმა ფუკუშიმას კატასტროფამ ხაზი გაუსვა ეკოლოგიურ ვალდებულებებს, რაც ბირთვული ენერჯის გენერაციასთან დაკავშირებით არსებობდა

და ამან ბუნებრივი გაზის გამოყენება მკვეთრად გაზარდა. აღნიშნულ ფაქტამდე იაპონიის ენერჯის მეოთხედი ბირთვული რეაქტორების მეშვეობით იწარმოებოდა. ამის შემდეგ კი იაპონიის მთავრობამ ქვეყანაში არსებული ყველა რეაქტორის გაჩერების გადაწყვეტილება მიიღო. ელ.ენერჯის გენერაციაში არსებული დანაკლისის კომპენსაციისთვის, ქვეყნის ელექტრო ენერჯის მწარმოებელმა კომპანიებმა აქტიურად დაიწყეს წიაღისეული საწვავის გამოყენება და ბუნებრივ გაზზე მომუშავე სადგურების დამატება. შედეგად იაპონიის თხევადი გაზის იმპორტი მნიშვნელოვნად - დაახლოებით 40%-ით - გაიზარდა, რის შედეგადაც ქვეყანა ამ რესურსის ნომერ პირველ იმპორტიორად გადაიქცა.

### **გეოპოლიტიკური დამახულობა**

უკრაინაში მიმდინარე კრიზისმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა ევროპის ენერგეტიკული ბაზრების ბუნებრივ გაზზე დამოკიდებულებას. უკრაინა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები რუსეთის გაზის მიწოდების შეწყვეტის საფრთხის წინაშე დადგა. რუსეთის ჯიუტი გადაწყვეტილების მსხვერპლი გახდება ქვეყნები, რომლებიც უკრაინის გავლით იღებენ რუსულ გაზს. სხვა ქვეყნებზე გავლენა კი ფასების აწევასთან იქნება კავშირში, რაც ბუნებრივი გაზიდან სავარაუდოდ სხვა საწვავ რესურსებზეც გავრცელდება.<sup>13</sup>

---

<sup>13</sup> <http://www.naturalgaseurope.com/natural-gas-the-new-gold>